ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N3

„ 28" მაისი, 2024 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ნიკა კორშია.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კომისიის წევრები- ნიკა კორშია, ნანა ვეკუა, [redacted], სალომე წულაია, თორნიკე კირთაძე, [redacted], [redacted] ირაკლი კიკალეიშვილი,
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი [redacted]

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ".

   /მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი [redacted].
2. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
   /მომხსენებელი: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ნიკა კორშია/.
3. 2024 წლის 25 აპრილიდან, [redacted]. სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და

კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ნიკა კორშია/.

4. 2024 წლის 25 აპრილიდან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ნიკა კორშია/.

დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8. წინააღმდეგი- 0. თავი შეიკავა 1 (

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

დაადგინეს:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240[1] მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-17 პუნქტის, ამავე ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.

2. საკრებულოს წარედგინოს კომისიის დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8. წინააღმდეგი- 0. თავი შეიკავა 1

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება- საკრებულო ვალდებულია დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 2024 წლის 1 ივნისიდან.

ამდენად, მიზანშეწონილია საკრებულოს აპარატს დაემატოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - სპეციალისტის(პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) პოზიცია, რომელიც განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლება- მოვალეობებს.

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება შეტანილ უნდა იქნეს საკრებულოს დადგენილებით.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის 92-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტად ითვლება ყველა ის პროექტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის დაწყებისათვის აუცილებელია მერის და საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა ამ ნორმატიული აქტის პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე გავლენის შესახებ. ზემოხსენებული დადგენილების პროექტი გავლენას ახდენს თვითმმართველობის ფინანსებზე.

ამდენად, ზემოხსენული პროცედურების შემდეგ, საკრებულო უფლებამოსილია განიხილოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დაადგინეს:

1. საკრებულოს წარედგინოს საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8. წინააღმდეგი- 0. თავი შეიკავა 1

მოისმინეს, ინფორმაცია:

ა) 2024 წლის 25 აპრილიდან, , სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ.

ბ) 2024 წლის 25 აპრილიდან, , ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ.

2024 წლის 25 აპრილის განცხადებით, საკრებულოს წევრი . 2024 წლის 25 აპრილიდან, გავიდა სივრცით - ტერ ორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან.

2024 წლის 25 აპრილის განცხადებით, საკრებულოს წევრი , 2024 წლის 25 აპრილიდან, გავიდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობიდან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება, მის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებით დამტკიცებულის საკრებულოს რეგლამენტის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომისიის წევრმა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. ბიურო, საკრებულოს კომისიიდან გასვლის შესახებ საკრებულოს წევრის განცხადებას იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე. კომისიის წევრს კომისიის წევრობის უფლებამოსილება უწყდება კომისიიდან გასვლის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან.

დაადგინეს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საკითხი, 2024 წლის 25 აპრილიდან, ([illegible] სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. ცნობად იქნეს მიღებული საკითხი, 2024 წლის 25 აპრილიდან, [illegible], ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
3. ეთხოვოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, ცნობად მიიღოს დასკვნის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული საკითხები.
4. საკრებულოს წარედგინოს კომისიის დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8. წინააღმდეგი- 0. თავი შეიკავა 1 ([illegible]

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე ნიკა კორშია